



## საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ადმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

### პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 24 ივლისი, 2022 წელი

დრო: 19:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. კონსტანტინე ჟღენტაძე - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
5. ნუგზარ კობრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
7. ნინო ხუბუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
8. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
9. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. შორენა ლორთქიფანიძე - სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში
11. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
12. თამარ ხიდაშელი - დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
13. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
14. მადონა ხარებავა - ასოციაცია „დეა“
15. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
16. ტატა ბერიძე - ა(ა)იპ ბუღალტერთა კავშირი
17. ნანა თოდუა - ასოციაცია მერკური
18. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
19. მარი ალუღიშვილი - პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

20. ნანული რამიშვილი - პ/კ განათლება და სამყარო
21. იულია ხარაშვილი - ქალთა ასოციაცია თანხმობა
22. მაკა ჯახუა - ასოციაცია მწვანე ტალღა
23. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
24. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
25. ნაირა ბეპიევი - კავკასიური მოზაიკა
26. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში
27. ნინო წულუისკირი - ასოციაცია ჰერა XXI
28. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია „იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
29. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
30. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
31. ნატო ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
32. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
33. ვახტანგ მაისაია - საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
34. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
35. ნუკრი მილორავა - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
36. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
37. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
38. ნატო არღვლიანი -ქართველების, აფხაზებისა და ოსების შერიგების სამოქალაქო პლატფორმა

განსახილველი საკითხები:

- შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

24 ივლისს გაიმართა საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით იქნა ორგანიზებული. კოალიციის გაფართოებული შეხვედრა გახსნა პლატფორმის თავმჯდომარემ, ნინო ჩხოზაძემ. მან მოკლედ ისაუბრა შეხვედრის მიზანზე, რომელიც უკავშირდება მომდევნო კვირაში, კერძოდ, 26 ივლისს, ჩანიშნულ შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტთან. საბჭოს გადაწყვეტილებით, მსგავსი გაფართოებული შეხვედრები ჩატარდება სისტემატიურად, რათა მოხდეს წევრი ორგანიზაციების ინფორმირება და მაქსიმალური ჩართულობა.

ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, შეხვედრის მიმდინარეობისას, მომდევნო კვირაში დაგეგმილ აქტივობებზე გამახვილდა ყურადღება. სექტორული შეხვედრა, რომელიც დაგეგმილი იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, გადაიდო და გაიმართება 28 ივლისს, 16:00 საათზე. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები იქნება იგივე. პლატფორმის სამდივნო კიდევ ერთხელ მოიწვევს მეორე, მესამე და მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრებს აღნიშნულ შეხვედრაზე.

“ასევე, მომდევნო კვირაში გაიმართება შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, სადაც მკაფიოდ ვისაუბრებთ 12 პუნქტთან დაკავშირებით და ასევე ხაზგასმით იქმენა აღნიშნული ეროვნული პლატფორმის როლი ამ პროცესებში. ჩვენ გვინდა რომ შევთანხმდეთ საქართველოს პრეზიდენტთან გარკვეულ პრეიოდულ შეხვედრებზე, რომელსაც ექნება ინფორმირებულობის ფუნქცია. ჩვენი მხრიდან, ყველა პუნქტთან დაკავშირებით, 2-3 თვის ინტერვალით მოვამზადოთ ანალიზი, თუ როგორ მიმდინარეობს რეკომენდაციების შესრულება პუნქტობრივად. პლატფორმა ჩართულია სხვადასხვა ფორმატებში, რომელიც შექმნილია როგორც საკანონმდებლო ორგანოსთან, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს, ჩვენ შევთანხმდით, რომ პლატფორმა წარადგენს ორგანიზაციებს სამუშაო ჯგუფებში მუშაობისთვის, რომელიც იქნება 12 პუნქტთან დაკავშირებით” - განაცხადა პლატფორმის თავმჯდომარემ ნინო ჩხოზაძემ.

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლაშა ტულუშმა, ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე. “პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მონაწილეობა. ევროკავშირის მრიდან ცალსახად არის აღნიშნული, რომ 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური. ჩვენ ყველა ვიაზრებთ, რომ 6 თვეში ყველა პრობლემის ძირფესვიანად მოგვარება ვერ მოხდება, თუმცა მთავარია, რომ პროცესი იყოს დინამიური. ჩვენ უნდა დავანახოთ ევროკავშირს, რომ პროცესები დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ყველა რეკომენდაციაზე”. ამ პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეზიდენტთან შეხვედრისას ხაზი გაესვას პროცესში მისი პოზიტიური როლის მნიშვნელობას. ჩვენი მხრიდან, მნიშვნელოვანია მას მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია თუ როგორ მიმდინარეობს მუშაო სხვადასხვა ჯგუფებში. რამდენად ინკლუზიურია ეს პროცესი და რამდენადაა ორიენტირებული შედეგზე. მნიშვნელოვანია, რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულები არიან სამუშაო პროცესში და აქვთ თავიანთი ხედვა

შემუშავებული წერილობითი ფორმით, კვლევასა და ანალიზზე დაყრდნობით, შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფს. მათი ხედვები იქნება განხილული სამუშაო შეხვედრებზე. შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნების მნიშვნელობას.

მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, კონსტანტინე ჟღენტმა ისაუბრა კიდევ ერთ ინიციატივაზე, რომელიც განიხილა საბჭომ. ევროკავშირის მხრიდან, ერთ-ერთი მოთხოვნაა რომ მოხდეს საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქედან გამომდინარე “ჩვენი ინიციატივაა, რომ შევთავაზოთ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეიქმნას ფორმატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ კონკრეტული საკითხები შესაბამის სამინისტროებთან. მნიშვნელოვანია ამ დიალოგის წარმოება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ეს ერთგვარად იქნება მონიტორინგის ფუნქციის მატარებელიც, რადგან ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვექნება ევროკავშირის შესაბამის წარმომადგენლებთან”.

საკოორდინაციო საბჭოს წევრების მხრიდან, მოკლე ანგარიშების წარდგენის შემდეგ, შეხვედრა გაგრძელდა დისკუსიისა და ფართო დიალოგის ფორმატში. მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეაფასეს პლატფორმის მიერ გაწეული საქმიანობა და ის ინიციატივები, რომელიც კოალიციის მმართველი კომიტეტის მხრიდან იქნა შეთავაზებული, ასევე გააუღერეს თავიანთი ხედვები და ინიციატივები, კერძოდ:

- მემორანდუმის შემუშავება პარტიებს შორის, რომელიც პოლარიზაციის შემცირებისაკენ იქნება მიმართული და რომელსაც შეუერთდება ყველა პოლიტიკური აქტორი;
- მნიშვნელოვანია პრეზიდენტის მხრიდან ელჩებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი მუდმივი ინფორმირება;
- ინიციატივა, რომ პლატფორმა იყოს მეტად პროაქტიული. მისი ფუნქცია არ იყოს მხოლოდ ვითარების ანალიზი, არამედ თავად იყოს ინიციატორი სხვადასხვა საკითხების გარშემო;
- ხედვა, რომ შეიძლება შემუშავდეს ანნისტია, რომელიც მიმართული იქნება 2012 წლიდან მოყოლებული, საჯარო მოხელეებზე;
- პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება, სადაც მოსმენილი იქნება ვახტანგ ზარქუას მიერ მოწოდებული კვლევა;
- პლატფორმა იყოს შუამავალი პოლარიზაციის შემცირების კუთხით. კოალიცია იქცეს დიალოგის პლატფორმად როგორც პოლიტიკურ აქტორებს შორის, ისე საზოგადოებასთან მიმართებით;
- დაბრუნდეს დღის წერსიგში მშვიდობის საკითხები. ეს თემა განვიხილოთ როგორც სამუშაო ჯგუფებში, ასევე შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან;

- მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან, რაზეც უკვე მიმდინარეობს მსჯელობა საკოორდინაციო საბჭოზე;
- ინიციატივა, რომ ვისაც კონკრეტული იდეები და ხედვები გააჩნია კონკრეტულ თემაზე, რომელიც მოცემულია 12 პუნქტიან რეკომენდაციებში, წერილობითი სახით, მიწოდებულ იქნას კოალიციის სამდივნოსთან, რომელიც თავის მხრივ შეკრიბავს ყველა ამ იდეას და პირველ ეტაპზე წარუდგენს საბჭოს და კოალიციის წევრებს შემდგომი მსჯელობისთვის;
- სამუშაო ჯგუფების მომდევნო შეხვედრებისას მნიშვნელოვანია კონკრეტული საკითხების მსჯელობასა და ექსპერტიზაზე გადასვლა;
- ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზადყოფნა, რომ კონკრეტულ თემაზე მიაწოდონ თავიანთი იდეები კოალიციის წევრებს;
- ეროვნულმა პლატფორმამ შეიმუშაოს შეთანხმებული მესიჯები რომლითაც მივალთ ჩვენს ბენეფიციარებთან და მედიებთან;
- რეგიონული ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება და მხარდაჭერა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე